საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N1985 2023 წლის 3 ნოემბერი ქ. თბილისი

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 თებერვლის №254 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 თებერვლის №254 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოსათვის არა უმეტეს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის გამოყოფა „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „ერთიანი აგროპროექტის“

(პროგრამული კოდი: 31 05) პროგრამის ფარგლებში, მაღალმთიან დასახლებებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსებისათვის;

ბ) არა უმეტეს 19 500 000 (ცხრამეტი მილიონ ხუთასი ათასი) ლარისა მიიმართოს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების“ შესაბამისად.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**